ა უ ქ ც ი ო ნ ი

შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიის მისაღებად

ოქმი №27

*ქ. თბილისი* *3 სექტემბერი 2010 წ.*

დღის წესრიგი:

შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიის მისაღებად აუქციონზე მონაწილის რეგისტრაცია დაიწყო 11 სთ 55 წთ-ზე. „მეაუქციონემ" აუქციონი გახსნა 12 სთ 00 წთ-ზე.

2010 წლის 21 ივლისს გაზეთ „24 საათში" გამოქვეყნდა განცხადება შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ. განცხადებების მიღების ვადა იყო 21 ივლისიდან 2 სექტემბრის ჩათვლით.

გაზეთში გამოცხადდა ორი ლოტი. აუქციონი ჩატარდა I-ლ ლოტზე.

მე-2 (საღამოს ტბა (ჯავახეთის ზეგანი, სამცხე-ჯავახეთის მხარე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი) ლოტი ჩაიშალა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №1-1/1441 ბრძანების საფუძველზე.

*რეგისტრაცია გაიარა:*

1) I-ლ ლოტზე - შპს "ტბები" - დაფის №2

შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიის მისაღებად აუქციონზე ვაჭრობა დაიწყო 12 სთ 00 წთ-ზე.

I-ლ ლოტზე – ტაბაწყურის ტბა (ჯავახეთის ზეგანი, ბორჯომისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტი) – გამარჯვებულად გამოცხადდა №2 დაფის მქონე „პრეტენდენტი", შპს "ტბები". ლიცენზიით გათვალისწინებული დასაჭერი თევზის მარაგი პირველი წლისათვის სახეობების მიხედვით: ჭაფალა - 10 ტონა, ხრამული - 2 ტონა, კობრი - 0,4 ტონა; სულ: 12,4 ტონა. ლიცენზიის მოქმედების ვადაა 20 წელი. ამ

ობიექტზე გასაცემი ლიცენზიის საწყისი ფასი შეადგენდა 1665 ლარს, სავაჭრო „ბიჯი“ – 167 ლარს. გაიყიდა 1832 (ათას რვაასოცდათორმეტი) ლარად.

გამარჯვებულმა კომპანიამ საბოლოო თანხა „ბე“-ს გამოკლებით უნდა დაფაროს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანების შესაბამისად, შემდეგ ანგარიშზე – მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი) ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003048.

ლევან ჯანაშია

ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების

დეპარტამენტის უფროსი

ნანა მახარაძე

აუქციონის მდივანი

შპს "ტბები" –

ოქმის გაფორმების თარიღი: 03.09.10წ.